# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 16

**ქ. გარდაბანი**

30.05.2024

16-06-4-202405301707

**გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთა კოორდინაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულება, დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივლისიდან.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე